

ხელშეკრულება

სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის
გარკვეული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

თბილისი,

4 ივნისი 2017 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, ზაზა სოფრომაძის სახით, ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის, თენგიზ აბაზაძის სახით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სერვისების განვითარების სააგენტო), წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სოსო გიორგაძის სახით და სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტო (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი გვენეტაძის სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ¹“ ქვეპუნქტით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 13 ივლისის N117 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის N228 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი და საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება ფორმდება „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროექტის (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა“ - საზოგადოებრივი ცენტრების და ელექტრონული მმართველობის კომპონენტი“) მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, „საზოგადოებრივი ცენტრების“ მეშვეობით, „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი ზოგიერთი საჯარო სერვისებით (შემდგომში - „სერვისები“) ადგილობრივი მოსახლეობის დროული უზრუნველყოფისა და ამ „სერვისებზე“ მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „სააგენტოს“ ზოგიერთი „სერვისის“ ადმინისტრირების გარკვეული ფუნქციების „სერვისების განვითარების

სააგენტოსთვის“ დელეგირება, ამ ხელშეკრულებითა და მისი N1 დანართით განსაზღვრული პირობებით და მოცულობით.

1.3. „სერვისების“ ჩამონათვალი, მიწოდების წესი და პირობები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების N1 დანართით, ხოლო ტექნიკური ურთიერთობის პროტოკოლი - N2 დანართით.

1.4. „სერვისების განვითარების სააგენტო“ ამ ხელშეკრულებით დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს „საზოგადოებრივი ცენტრების“ მეშვეობით, „სააგენტოსაგან“ ფინანსური რესურსის მოთხოვნის გარეშე.

მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა

2.1. „სერვისების განვითარების სააგენტოსათვის“ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (შემდგომში - ინფრასტრუქტურა) მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამართულ მუშაობასა და შეუფერხებლად გამოყენებას.

2.2. ინფორმაციის მისაწოდებლად, მხარეთა შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, „სამინისტროს“ და „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ უფლებამოსილი წარმომადგენლები ერთობლივად უზრუნველყოფენ დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურირებას (გამართვას).

მუხლი 3. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირ(ებ)ის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით;

3.2. უფლებამოსილი პირ(ებ)ის განსაზღვრის (გამოყოფის) და/ან შეცვლის საკითხები რეგულირდება მხარისათვის წერილის გაგზავნით და არ საჭიროებს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანას.

მუხლი 4. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების პროცედურა

4.1. „სერვისების განვითარების სააგენტო“ უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულების ფარგლებში, გამოითხოვოს ინფორმაცია „სააგენტოსაგან“ მხოლოდ იმ პირების შესახებ, რომლებიც პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მიმართავენ „საზოგადოებრივ ცენტრს“ შესაბამისი სერვისით სარგებლობისათვის.

4.2. ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია გამოითხოვოს მრავალჯერადად.

4.3. „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მოთხოვნა უნდა შეიცავდეს მონაცემთა სუბიექტის პირად ნომერს.

4.4. „სააგენტო“, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, „სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ ინფორმაციის დაბრუნებას უზრუნველყოფს მყისიერად (დროის რეალურ რეჟიმში).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „სამინისტრო“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საკუთარი ინფრასტრუქტურის შეუფერხებელი და გამართული მუშაობა;

ბ) ხელი შეუწყოს და არ შეუქმნას არანაირი შეფერხებები „სერვისების განვითარების სააგენტოს“ და „სააგენტოს“, ამ ხელშეკრულების ფარგლებში საკუთარი ინფრასტრუქტურით სარგებლობის დროს;

გ) მონაცემთა წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს“, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

5.2. „სამინისტრო“ უფლებამოსილია, მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

5.3. „სააგენტო“ ვალდებულია:

ა) გაუწიოს „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შესაბამის წარმომადგენლებს კვალიფიციური კონსულტაცია მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შესაბამისი წარმომადგენლებისათვის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, სწავლება/ტრენინგის ჩატარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეები თანხმდებიან წინასწარ წერილობით ფორმით;

გ) უზრუნველყოს შესაბამისი კომუნიკაციებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა, ხოლო მონაცემთა წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „სერვისების განვითარების სააგენტოს“, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

დ) წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, „სერვისების განვითარების სააგენტოს“ გადასცეს საჭირო დოკუმენტაცია (ფორმები, ბლანკები და ა.შ.);

ე) საჭიროების შემთხვევაში, მინიჭებული უფლებამოსილებების რეალიზებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს „სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ შესაბამისი ბეჭდის და/ან შტამპის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემა, დროებით საერგებლობაში. დროებით გადაცემული ბეჭედი/შტამპი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უბრუნდება „სააგენტოს“ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დასრულების/შეწყვეტის შემდეგ;

ვ) აცნობოს „სერვისების განვითარების სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან დაუყოვნებლივ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. სერვისების განვითარების სააგენტო იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერ დარღვევაზე, რომელიც გამოწვეულია ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების შეუტყობინებლობით.

5.4. „სააგენტო“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს, „სერვისების განვითარების სააგენტოს“ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩაატაროს „საზოგადოებრივი ცენტრების“ მუშაობის შემოწმება, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების და/ან „სერვისების“ მიწოდების კვალიფიკაციისა და ცოდნის შემოწმების კუთხით;

ბ) შემოწმების და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართოს „სერვისების განვითარების სააგენტოს“ „საზოგადოებრივი ცენტრის“ შესაბამისი წარმომადგენლის მიმართ დისციპლინური და/ან წახალისების ზომების გამოყენების შესახებ, ასევე, მოითხოვოს ხარისხთან შეუსაბამო მომსახურების შემთხვევების პრევენციისათვის აუცილებელი იმ ზომების დაუყოვნებლივ მიღება, რომლებიც ყველაზე ადეკვატური იქნება შესაძლო დარღვევ(ებ)ის თავიდან ასაცილებლად;

გ) მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მოთხოვოს ამ მუხლის 5.5. პუნქტის „ე“ და/ან „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენა, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

დ) მოთხოვოს „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მე-6 მუხლის 6.5. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდა.

5.5. „სერვისების განვითარების სააგენტო“ ვალდებულია:

ა) ფიზიკური პირებისათვის „სერვისების“ მიწოდებისას (დელეგირებული უფლებამოსილების რეალიზებისას) ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების (და მისი დანართების) პირობები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით და „სააგენტოს“ სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება ამ ხელშეკრულებასთან ან/და კანონმდებლობასთან შეუსაბამო მიზნით;

გ) არ დაუშვას „სააგენტოსგან“ მიღებულ ინფორმაციაზე და/ან „სერვისზე“ მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ;

დ) უზრუნველყოს „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის/სერვისის მომხმარებლისათვის უცვლელად მიწოდება;

ე) აღრიცხოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, აგრეთვე, „სააგენტოსგან“ მონაცემთა გამოთხოვის შესახებ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა („სააგენტოს“ შესაბამის ბაზებში არსებული პერსონალური მონაცემის დამუშავების შესახებ), ინფორმაცია, მონაცემთა სუბიექტის რეკვიზიტების, სერვისით სარგებლობის თარიღის/დროის მიხედვით.

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის (დელეგირებული უფლებამოსილების რეალიზება) საჭირო პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განახორციელოს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ზ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფორმები „სერვისების განვითარების სააგენტოში“ უნდა ინახებოდეს არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში, მომსახურების გაწევიდან;

თ) მიაწოდოს „სააგენტოს“ ამ პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აღრიცხული ინფორმაცია, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

ი) აცნობოს „სააგენტოს“ იმ ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ხელშეკრულების პირობებზე, ცვლიან

ხელშეკრულების საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებამდე ან ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

კ) დადასტურების შემთხვევაში აუნაზღაუროს „სააგენტოს“ და/ან ნებისმიერ მესამე პირს ამ პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების დარღვევით მიყენებული ზიანი;

ლ) შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს „სააგენტოს“ შუამდგომლობები/რეკომენდაციები და უზრუნველყოს მათ შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება;

მ) უზრუნველყოს მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი ინფრასტრუქტურის და ტექნიკური აღჭურვილობის გამართული მუშაობა;

ნ) „სააგენტოს“ მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადაცემული ბეჭედი/შტამპი გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების ფარგლებში და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს ისინი „სააგენტოს“. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „სერვისების განვითარების სააგენტოს“;

ო) უზრუნველყოს „სააგენტოსგან“ ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ ამ ხელშეკრულებით დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად;

პ) წერილობით აცნობოს სააგენტოს ახალი საზოგადოებრივი ცენტრ(ებ)ის შექმნის ან არსებული ცენტრ(ებ)ის გაუქმების თაობაზე.

5.6. „სერვისების განვითარების სააგენტო“ უფლებამოსილია:

ა) დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვნად შესასრულებლად, მიიღოს „სააგენტოსგან“ შესაბამისი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და მოცულობით;

ბ) „სააგენტოსგან“ მოითხოვოს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა;

გ) „სააგენტოსგან“ წერილობით მოითხოვოს და მიიღოს მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაცია (წინასწარ დადგენილი ფორმები, ბლანკები და ა.შ.), საჭიროებისამებრ-სააგენტოს ბეჭდებისა და შტამპების გადაცემა;

დ) დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, მოითხოვოს შესაბამისი სწავლების/ტრენინგების ჩატარება, „სააგენტოს“ მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და ფორმით.

5.7. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა და შეუფერხებლად გამოყენება;

ბ) ხელი შეუწყოს და არ შეუქმნას არანაირი შეფერხება „სერვისების განვითარების სააგენტოს“ და „სააგენტოს“, ამ ხელშეკრულების ფარგლებში საკუთარი ინფრასტრუქტურით სარგებლობის დროს;

გ) არ დაუშვას „სააგენტოსგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან“ მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), კოპირება/შენახვა, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

დ) მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს“, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ე) ხელშეკრულების ფარგლებში და კომპეტენციის შესაბამისად, აღრიცხოს პირველი მუხლით გათვალისწინებული „სერვისით“ სარგებლობის ინფორმაცია;

ვ) მიაწოდოს მხარეებს ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

5.8. მონაცემთა გაცვლილს სააგენტო უფლებამოსილია, მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

5.9. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულების ფარგლებში მისთვის ცნობილ ინფორმაციაზე არავტორიზებული ან არასანქცირებული წვდომის შემთხვევებზე.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დაცვაზე (მონაცემთა სუბიექტის თანხმობა) კანონისა და მონაცემთა სუბიექტის წინაშე ეკისრება „სერვისების განვითარების სააგენტოს“ დარღვევის დადასტურების შემთხვევაში.

6.3. „სერვისების განვითარების სააგენტო“ აცნობიერებს მისთვის გადასაცემი ინფორმაციის სამართლებრივ სტატუსს, პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას, მისი დაცვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია მის საქმიანობასთან და გამოყენებული იქნება მხოლოდ შესაბამისი მიზნებისათვის. აგრეთვე, მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება „სერვისების განვითარების სააგენტოს“.

6.4. „სააგენტო“ პასუხისმგებელია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის (ინფორმაციის გაცემის თარიღი და დრო) „ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების არსებული სახით გაცემაზე.

6.5. ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტის, 5.5. პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“, „ზ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის ან/და არაჯეროვანი შესრულების დადასტურების შემთხვევაში „სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაეკისრება ჯარიმა თითოეული ასეთი დარღვევისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა განხორციელდება „სააგენტოს“ მიერ მითითებულ ანგარიშზე. ამ პუნქტით ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს „სერვისების განვითარების სააგენტოს“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან და/ან მესამე პირის, რომელიც მიიჩნევს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო მის კანონიერ ინტერესს მიაღმა ზიანი/ზარალი, სასარგებლოდ ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია

ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამოძვევ გარემოებათა დასრულებამდე.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

მუხლი 9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

9.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

9.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

9.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

9.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თანავე, ძალადაკარგულად ცხადდება „სერვისების განვითარების სააგენტოსა“ და „სააგენტოს“ შორის, ამავე საგანზე, 2015 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება და მხარეები ურთიერთობას აგრძელებენ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, რაც მოიცავს, 2015 წლის 19

ოქტომბრის ხელშეკრულებით „სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების უწყვეტ რეალიზებას (მათ შორის, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნის ნაწილში - „სერვისების განვითარების სააგენტო“ „სერვისების“ მიწოდებას აგრძელებს უკვე გადაცემული ინვენტარით).

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

9.8. დანართები N1 და N2 წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

„სამინისტრო“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი : 211333957



ზაზა სოფრომაძე
მინისტრის მოადგილე

„სააგენტო“


სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის
გამზ. N144,
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927



თენგიზ აბაზაძე
დირექტორის მოადგილე

„სერვისების განვითარების სააგენტო“


სსიპ - სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N67ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 202307404



სოსო გიორგაძე
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო“

სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 204577699



ირაკლი გვენეტაძე
თავმჯდომარე

Handwritten signatures and initials at the bottom of the page, including a large signature on the left and several smaller ones on the right.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით, მოსახლეობისათვის გარკვეული სერვისების მიწოდების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით, მოსახლეობისათვის რიგი სერვისების მიწოდების წესი და პირობები“ (შემდგომში-წესი) განსაზღვრავს იმ სოციალური სერვისების ჩამონათვალს, რომლებსაც ახორციელებენ საზოგადოებრივი ცენტრები, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსაგან სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ მიერ მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის წესსა და პირობებს.

2. აღნიშნული წესი წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ-მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების დანართს და ამ ხელშეკრულების (შემდგომში-ხელშეკრულება) განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. სერვისების ჩამონათვალი, რომლებსაც ახორციელებენ საზოგადოებრივი ცენტრები დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში

საზოგადოებრივი ცენტრები ახორციელებენ დელეგირებულ უფლებამოსილებებს შემდეგი სერვისების მიხედვით:

1. ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა):

1.1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის მიზნით, განაცხადის მიღება;

1.2. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებული განაცხადის მიღება;

1.3. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული განაცხადის მიღება;

1.4. ოჯახის დეკლარაციაში“ მონაცემთა კორექტირების შესახებ განცხადების მიღება;

1.5. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაცული ინფორმაციის (ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, ოჯახის უფლებამოსილი პირი, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი) სარეიტინგო ქულის ოდენობა, სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლის თარიღი, ოჯახის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ, საარსებო შემწეობის თანხის ოდენობა, საარსებო შემწეობის შეჩერება, საარსებო შემწეობის შეწყვეტა, საარსებო შემწეობის ყოველთვიური ჩარიცხვა არაუმეტეს 6 თვისა) გაცემა;

2. სოციალური პაკეტი:

2.1. სოციალური პაკეტის დანიშვნა/ცვლილების შესახებ განცხადების მიღება;

2.2. დანიშნული სოციალური პაკეტის შესახებ ინფორმაციის (საფუძველი, დანიშვნის თარიღი, ოდენობა, შეჩერება, შეწყვეტა) გაცემა;

3. სახელმწიფო პენსია:

3.1. სახელმწიფო პენსიის დანიშვნა/ცვლილების შესახებ განცხადების მიღება;

3.2. დანიშნული სახელმწიფო პენსიის შესახებ ინფორმაციის (საფუძველი, დანიშვნის თარიღი, ოდენობა, შეჩერება, შეწყვეტა) გაცემა;

4. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ, სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატის შესახებ ინფორმაციის (საფუძველი, დანიშვნის თარიღი, ოდენობა, შეწყვეტა) გაცემა;

5. საყოფაცხოვრებო სუბსიდია:

5.1. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნა/ცვლილების შესახებ განცხადების მიღება;

5.2. დანიშნული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის შესახებ ინფორმაციის (საფუძველი, დანიშვნის თარიღი, ოდენობა, შეჩერება/შეწყვეტა) გაცემა.

6. სახელმწიფო კომპენსაცია:

6.1. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა/ცვლილების შესახებ განცხადების მიღება;

6.2. დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ ინფორმაციის (საფუძველი, უწყება, ოდენობა, დანიშვნის თარიღი, შეჩერება/შეწყვეტა) გაცემა.

მუხლი 3. ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას

1. ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას, საზოგადოებრივი ცენტრები, ძირითადად, ხელმძღვანელობენ შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

ა) საქართველოს კანონები:

ა.ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ა.ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;

ა.გ) „სოციალური დახმარების შესახებ“;

ა.დ) „სახელმწიფო პენსიის შესახებ“;

ა.ე) „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“;

ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილებები:

ბ.ა) 2006 წლის 28 ივლისის N145 („სოციალური დახმარების შესახებ“);

ბ.ბ) 2010 წლის 24 აპრილის N126 („ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“);

ბ.გ) 2012 წლის 23 ივლისის N279 (სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“);

ბ.დ) საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N4 დადგენილება („სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“);

ბ.ე) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივნისის N264 დადგენილება („მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“).

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები:

გ.ა) 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანება („სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“);

გ.ბ) 2010 წლის 20 მაისის N140/ნ ბრძანება („სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციასთან, რეგისტრაციის გაუქმებასთან და სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებული განაცხადის ფორმის, მისი მიღებისა და აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“);

გ.გ) 2006 წლის 10 თებერვლის N46/ნ ბრძანება („სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“);

დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 02 ივნისის N04-155/ო ბრძანება „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

2. საზოგადოებრივი ცენტრები დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობენ აგრეთვე საქართველოს სხვა კანონმდებლობით და სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კანონმდებლობით და/ან ხელშეკრულებით.

მუხლი 4. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზოგადი პრინციპები

1. საზოგადოებრივი ცენტრის ოპერატორის (ოპერატორი) მიერ მომსახურების დაწყება დასაშვებია უშუალოდ სერვისის მაძიებლის (მ.შ. სოციალური დახმარების, პენსიის, -მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ, სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატის, კომპენსაციის, სოციალური პაკეტის მიმღები/მაძიებელი პირი, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ან სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრი) ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე.

2. ოპერატორი სერვისის მაძიებლის ან მისი წარმომადგენლის იდენტიფიცირებისათვის მოითხოვს შესაბამისი პირ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

3. წარმომადგენლის მეშვეობით სერვისის მიწოდებისას, ოპერატორი ვალდებულია, სერვისის მაძიებლისა და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად, ასევე, მოითხოვოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი.

4. ოპერატორი ვალდებულია მაძიებელს ან მის წარმომადგენელს შეავსებინოს წერილობით თანხმობის ფორმა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში რეგისტრირებული მაძიებლის პერსონალური მონაცემის დამუშავების შესახებ.

5. საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურება შემოიფარგლება სერვისის მაძიებლისათვის შესაბამისი ინფორმაციის ზეპირსიტყვიერად ან/და დოკუმენტური სახით (ცნობა/ამონაწერი) მიწოდებით, სერვისის მაძიებლის განცხადების/განაცხადის და მასზე დართული დოკუმენტების

მიღებით, კომპეტენციის შესაბამისად, სერვისით სარგებლობით დაინტერესებული პირისათვის კონსულტაციის გაწევით.

6. სერვისის მაძიებლისათვის ინფორმაციის გაცემისას, ოპერატორი ეყრდნობა სააგენტოსაგან დადგენილი წესით გამოთხოვილ მონაცემებს, რომლებიც ვალიდურია მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მომენტისათვის.

7. ცნობის სახით ინფორმაციის გაცემა ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, შესაბამისი განაცხადის/განცხადების ფორმის შევსების საფუძველზე.

8. ამონაწერის გაცემა ხორციელდება ოპერატორის მიერ მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის გათვალისწინებით.

9. გამზადებული ამონაწერი უნდა დადასტურდეს ოპერატორის ხელმოწერითა და სააგენტოს შტამპით.

10. განაცხადის/განცხადების ფორმა (მ.შ. სტანდარტული) ივსება ადგილზე, ოპერატორის დახმარებით.

11. განაცხადზე/განცხადებაზე დართული ყველა დოკუმენტის ასლი უნდა დადასტურდეს ოპერატორის ხელმოწერითა და სააგენტოს შტამპით (წარწერით: „ასლი დედანთან სწორია“).

12. განცხადების/განაცხადის და მასზე დართული დოკუმენტ(ებ)ის მიღების შემდეგ, ოპერატორის მიერ უნდა მოხდეს:

ა) განცხადების/განაცხადის მიღების დადასტურება ხელმოწერით და სააგენტოს მიერ გადაცემული შტამპის საშუალებით;

ბ) განცხადების/განაცხადის მიღების თარიღის მითითება;

გ) ბარათის გახსნა დოკუმენტების ერთიან სისტემაში და განაცხადის ფორმაზე სისტემის მიერ მინიჭებული საქმის კოდის მითითება;

დ) მიღებული დოკუმენტ(ებ)ის სკანირება და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მათი გადაგზავნა დეს-ის საშუალებით მყისიერად.

13. დოკუმენტ(ებ)ის მიღების შემდეგ, ოპერატორი განმცხადებელს გადასცემს სააღრიცხვო ბარათს, რომელზეც მითითებულია დოკუმენტ(ებ)ის მიღების თარიღი, ფურცლების რაოდენობა და სახე (ორიგინალი, ასლი), მიმღები პირის ვინაობა და საქმის კოდი. სააღრიცხვო ბარათი მოწმდება სააგენტოს შტამპითა და ოპერატორის ხელმოწერით.

14. საზოგადოებრივი ცენტრისაგან დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, ინფორმაციის დამუშავებასა და საჭიროებისამებრ რეაგირებაზე პასუხისმგებელია სააგენტოს ტერიტორიული ერთეული.

15. „საზოგადოებრივ ცენტრებში“, სერვისის მაძიებლის/წარმომადგენლის მიერ შევსებული განცხადების/განაცხადის ფორმები, თანდართული დოკუმენტების ასლებთან და/ან დედნებთან ერთად, საჭიროა განთავსდეს ინდივიდუალურად, ცალკე ფაილში და დალაგდეს თარიღისა და მინიჭებული (რეგისტრაციის) ნომრის ზრდის (აღმავლობის) მიხედვით.

16. „საზოგადოებრივ ცენტრში“ სერვისის მაძიებლის/წარმომადგენლის მიერ ჩაბარებული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიის (დასკანერებული) გადაგზავნა, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში უნდა მოხდეს მყისიერად და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სკანირების მაღალი ხარისხი. წარდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების და/ან დედნების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულზე გადაცემა უნდა განხორციელდეს ყოველკვირეულად, ერთსა და იმავე ფიქსირებულ დღეს, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საზოგადოებრივი ცენტრისა და სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა შესაძლებელია გადაიწიოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას, ამ გარემოების დასრულებამდე.

მუხლი 5. სახელმწიფო გასაცემლებთან დაკავშირებული მომსახურება

1. ოპერატორი უფლებამოსილია:

ა) გასცეს ინფორმაცია სახელმწიფო პენსიის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სოციალური პაკეტის დანიშვნის თარიღის, ოდენობის, დანიშვნის საფუძვლის, შეჩერება/შეწყვეტისა და მისი მიზეზის შესახებ.

ბ) მიიღოს დადგენილი ფორმის განცხადება სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, სოციალური პაკეტის დანიშვნა/ცვლილების მოთხოვნით.

2. ინფორმაციის გაცემისას ცნობის სახით, ოპერატორმა უნდა მოახდინოს დოკუმენტების ერთიანი სისტემიდან სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ მომზადებული ცნობის ამობეჭდვა, შტამპით დამოწმება და დაინტერესებული პირისათვის გადაცემა.

3. სახელმწიფო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით შევსებულ განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

4. შეჩერებული სახელმწიფო პენსიის განახლების განცხადებას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, თან უნდა დაერთოს პენსიის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ცნობა/ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).

5. საზოგადოებრივი ცენტრის ოპერატორი უფლებამოსილია, დადგენილი წესით, მიიღოს განცხადება სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და შეჩერებული სახელმწიფო კომპენსაციის განახლების თაობაზე;

6. შეჩერებული სახელმწიფო კომპენსაციის განახლების განცხადებას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, თან უნდა დაერთოს კომპენსაციის გაცემის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ცნობა/ინფორმაცია.

7. სახელმწიფო პენსიაზე უფლების მქონე პირებისათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებას თან უნდა დაერთოს „სოციალური შედავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშვნა-გაცემის წესის და პრინციპების“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

8. სახელმწიფო კომპენსაციასთან ერთად სოციალური პაკეტის(საყოფაცხოვრებო სუბსიდია) დანიშვნაზე უფლების მქონე პირებისათვის სოციალური პაკეტის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობების“ მე-7 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები.

9 სოციალური პაკეტის დანიშვნის განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 „სოციალური პაკეტის გაცემის წესის და პირობების“ მე-7 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

10 შეჩერებული სოციალური პაკეტის აღდგენის მოთხოვნით განცხადებას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან (წარმომადგენლის მეშვეობით მომართვისას, გამოიყენება ამ დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები) ერთად, თან უნდა დაერთოს პენსიის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ცნობა/ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 6. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის და ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მომსახურება

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის (შემდგომში-ბაზა) და ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომსახურება დასაშვებია, მხოლოდ ოჯახის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრის ან ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის, აგრეთვე, მათი წარმომადგენლების მომართვის საფუძველზე, რა დროსაც გამოიყენება ამ დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები).

2. ოპერატორი უფლებამოსილია:

ა) ზეპირად გასცეს ბაზაში ოჯახის შესახებ არსებული შემდეგი ინფორმაცია: რეგისტრაციის თარიღი, სარეიტინგო ქულის ოდენობა, სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლა, საარსებო შემწეობის თანხის ოდენობა, საარსებო შემწეობის შეჩერება/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიზეზის ჩვენებით, საარსებო შემწეობის ჩარიცხვის მდგომარეობა არაუმეტეს წინა 6 თვის მანძილზე;

ბ) სათანადო წესით, დოკუმენტურად გასცეს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე.

გ) მიიღოს დადგენილი ფორმის განაცხადი ბაზაში რეგისტრაციის მიზნით;

დ) მიიღოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებული განაცხადი;

ე) მიიღოს ბაზაში რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ან „ოჯახის დეკლარაციაში“ მონაცემთა კორექტირების შესახებ განაცხადი;

3. ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, განაცხადის მიღებისას, ოპერატორმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრაციასთან, რეგისტრაციის გაუქმებასთან და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებული განაცხადის ფორმის მიღებისა და აღრიცხვის წესით“.

4. განაცხადის სტანდარტული ფორმა ივსება ადგილზე, „საზოგადოებრივი ცენტრის“ ოპერატორის დახმარებით.

5. „საზოგადოებრივი ცენტრის“ ოპერატორის მიერ უნდა მოხდეს განმცხადებლის და ოჯახის წევრ(ებ)ის გადამოწმება ბაზაში, მონაცემების დუბლირების გამორიცხვის მიზნით.

6. „საზოგადოებრივი ცენტრის“ ოპერატორის მიერ, პირველადი განაცხადის მიღების დროს, არ ივსება განაცხადის „ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი“-ს გრაფები (აღნიშნული ივსება უშუალოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ).

7. ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებით შეფასებასთან (გადამოწმებასთან) დაკავშირებული განაცხადის მიღება ოპერატორის მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტ(ებ)ს:

- ა) ოჯახში განხორციელდა დემოგრაფიული ცვლილება (ოჯახს დაემატა/გამოაკლდა წევრი);
- ბ) ოჯახის წევრი დასაქმდა და/ან მიიღო ლეგალური შემოსავალი;
- გ) ოჯახის წევრმა დაკარგა სამუშაო, ლეგალური შემოსავალი;
- დ) ოჯახმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი;
- ე) სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან გასულია ერთი წელი;
- ვ) ოჯახის წევრს დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი;

8. თუ ოჯახში დემოგრაფიული ცვლილება გამოწვეულია ბავშვის დაბადების/შვილად აყვანის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების ფაქტით, ოჯახის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მომხდარი ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (დაბადების მოწმობის/გარდაცვალების მოწმობის ასლი).

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“, და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, ოჯახის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მომხდარი ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.

